Deutsche Universität für Verwaltungswissenschaften Speyer

სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“

სასწავლო პროცესისა და გამოცდების მარეგულირებელი წესი

შინაარსი

§ 1. ზოგადი ინფორმაცია 2
§ 2. პროგრამის მიზნები და ამოცანები 2
§ 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა 3
§ 4 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე 4
§ 5. პროგრამის ხელმძღვანელობა 4
§ 6. სწავლის ხანგრძლივობა 4
§ 7.მოდულები 5
§ 8. სასწავლო პრაქტიკა 8
§ 9. საზაფხულო სკოლა 8
§ 10. სასწავლო პროცესი და გამოცდები 9
§ 11. სამაგისტრო ნაშრომი 9
§ 12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები 10
§ 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: 10
§ 14. სწავლის შედეგები: 11
§ 15. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები: 17
§ 16. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 19
§ 17. პროგრამის აკადემიური პერსონალი 20

§ 1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება: საჯარო მმართველობა

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქ.შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის საფუძველზე.

კვალიფიკაციის კოდი: 0413.1.3

საგანმანათლებლო პროგრამისტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ინგლისური, ქართულენოვანი კომპონენტებით (უცხოელი სტუდენტებისთვის პროგრამა ხორციელდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე)

მისანიჭებელი აკადემიურიხარისხი/კვალიფიკაცია:
საჯარო მმართველობის მაგისტრი (Master of Public Administration)

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS (კრედიტი)
ერთი კრედიტი უთანაბრდება სტუდენტის მუშაობის 25 საათს.

პროგრამის ხელმძღვანელი: ირაკლი ბურდული და ანდრეას კნორი

§ 2. პროგრამის მიზნები და ამოცანები

A. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საჯარო მმართველობის სფეროში განვითარების ტენდენციებზე, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებზე, ევროკავშირის გავლენაზე ქართულ პრაქტიკაზე, საჯარო მმართველობის მიმართულებით თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებზე, კვლევის მეთოდებზე, აკადემიური პატიოსნების წესებსა და პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებზე.
B. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გააცნოს საჯარო მმართველობის თანამედროვე მიმართულებების ძირეული ასპექტები, როგორც ნაციოლნალურ ისე საერთაშორისო დონეზე.
C. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს კანონმდებლობის, ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკურ სპექტრის და მათი თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის, ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის და ეროვნული პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე საკუთარი

კომპლექსური და ორიგინალური დასკვნის შემუშავების უნარი;

D. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისა და გამოყენების, ასევე, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ კვლევის განხორციელების უნარი.

E. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკურ სფეროში აქტუალურ პრობლემების ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამისი გზის შემუშავების უნარი.

F. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების გადმოცემის უნარი.

G. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

H. **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების აღიარებისა და პატივისცემის უნარი.

§ 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართლის, ეკონომიკის, ისტორიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების დარგში (მიიღებიან, მხოლოდ აკრედიტებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები)

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით დაძლევა (უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ)

გ) ინგლისური ენა (B2 დონე) - გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ.

ასევე,კანდიდატებს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინონ ინგლისური ენ ის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, მინიმუმ B2 დონე, რა შემთხვევაშიც, ისინი განთავისუფლდებიან უცხო ენის გამოცდისაგან

დ) გასაუბრება (ინგლისურ ენაზე) გერმანელ და ქართველ პროფესორებთან- ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ (მინიმუმ 51 ქულა), კანდიდატები გასაუბრებას გაივლიან ინგლისურ ენაზე. მისაღები კომისია შედგება 4-5 პირისაგან, როგორც თსუ-ს, ასევე, შპაიერის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. ფასდება როგორც სტუდენტის კვალიფიკაცია და მოტივაცია, ისე ინგლისური ენის ცოდნის ხარისხი.

შეფასება ხდება 51-100 ქულამდე სისტემით. სტუდენტების შერჩევისას უპირატესობა მინიჭებათ იმ სტუდენტებს, რომელეთაც უფრო მაღალი დიპლომის საშუალო ქულა (GPA) ექნება.

მაგისტრანტობის უცხოელი კანდიდატებისათვის, გარდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, წინაპირობას წარმოადგენს გამოცდა ინგლისურ ენაში (ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი) და გასაუბრება ინგლისურ ენაზე.

§ 4 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე

პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში, იმ სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევს საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

§ 5. პროგრამის ხელმძღვანელობა

პროგრამის ხელმძღვანელობა მიმდინარეობს კოლეგიალურ საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთა წარმომადგენელთა მიერ. ამასთანავე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტი. რომელიც წელიწადში სულ მცირე ერთხელ იკრიბება. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, კოორდინატორები, პარტნიორი ორგანიზაციის ერთ- ერთი წარმომადგენელი, პროგრამის ორი კურსდამთავრებული, პროგრამის ერთი მოქმედი სტუდენტი და ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი.
კომიტეტი იკრიბება წელიწადში სულ მცირე ერთხელ. არსებითი შინაარსის გადაწყვეტილებები დასამტკიცებლად წარედგინება თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ასევე თსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

§ 6. სწავლის ხანგრძლივობა

სწავლის ხანგრძლივობა არის 5 აკადემიური სემესტრი. მეხუთე სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

§ 7.მოდულები

პროგრამა შედგება 15 სასწავლო მოდულისგან, აქედან 12 თეორიული, ერთი პრაქტიკული და ორი სამეცნიერო–კვლევითი მოდული. თეორიული კომპონენტებისაგან შემდგარი მოდულებიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 75 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 66 კრედიტი და არჩევითი 9 კრედიტი.
პრაქტიკული მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 19 კრედიტი: საზაფხულო სკოლა – 4 კრედიტი; პრაქტიკა საქართველოში 5 კრედიტი და 10 კრედიტი საზღვარგარეთ გავლილი პრაქტიკისათვის.
სამეცნიერო–კვლევით მოდულებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 26 კრედიტი, მათ შორის 4 კრედიტი ეკუთვნის აკადემიურ წერას და 22 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამის სასწავლო მოდულები

Modules of the Master Program "Public Administration":

1. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები (15 ECTS)

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1.	საკონსტიტუციო სამართალი შედარებით პერსპექტივაში	3
2.	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	2
3.	საჯარო მმართველობის სასამართლო კონტროლი	3
4.	ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპები (ქართულ და ევროპულ კონტექსტში)	4
5.	ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი	3

2. საჯარო მმართველობა ევროპულ კონტექსტში (11 ECTS)

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1.	მმართველობა ევროპის მრავალდონიან სისტემაში	3
2.	ევროკავშირი და მისი საჯარო მმართველობა	2
3.	ევროინტეგრაცია და თანამშრომლობა	3
4.	ტერიტორიული მოწყობა და დეცენტრალიზაცია	3

3. სახელმწიფო და ეკონომიკა (12 ECTS)

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1.	შესავალი ეკონომიკასა და საჯარო ფინანსებში	3
2.	კონკურენციის პოლიტიკა და რეგულაცია	3
3.	ეკონომიკური კორნტროლი და ანალიზი	3
4.	ბუღალტერია საჯარო სექტორში	3

4. ორგანიზაცია და მენეჯმენტი (12 ECTS)

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1.	პროცესის მენეჯმენტი და ელ-მმართველობა	3
2.	Strategy Management and Quality Management	3
3.	აზროვნების დიზაინი	3
4.	კომუნიკაცია	3

5. ადამიანური რესურსი და მენეჯმენტი (12 ECTS)

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1.	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი	2
2.	სამოხელეო სამართალი	2
3.	კულტურა და ეთიკა საჯარო მმართველობაში	2
4.	ცვლილებების მენეჯმენტი	2
5.	მოლაპარაკების უნარები	2
6.	ორგანიზაციული ხელმძღვანელობა	2

არჩევით მოდულები (უნდა აირჩეს მხოლოდ სამი მოდული-9 ECTS)

6. ბიუჯეტის დაგეგმვა და მენეჯმენტი

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	ბიუჯეტის დაგეგმვა და მენეჯმენტი	3

7. მუნიციპალური სამართალი

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	მუნიციპალური სამართალი	3

8. კერძო-საჯარო თანამშრომლობა

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	კერძო-საჯარო თანამშრომლობა	3

9. ნაციონალური თავდაცვა და უსაფრთხოება

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	ნაციონალური თავდაცვა და უსაფრთხოება	3

10. გადაწყვეტილების მიღება საჯარო სექტორში

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკასა და მმართველობაში	3

11. სამართლებრივი აქტების შედგენის ტექნიკა

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	სამართლებრივი აქტების შედგენის ტექნიკა	3

12. უცხო ენა (4 ECTS)

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	გერმანული ენა I	2
2	გერმანული ენა II	2

13. პრაქტიკა და საზაფხულო სკოლა (19 ECTS)

#	Modules & Sub-Modules/Subjects	ECTS
1	პრაქტიკა საქართველოში	5

2	პრაქტიკა საზღვარგარეთ (ძირითადად გერმანიაში)	10
3	საზაფხულო სკოლა	4

14. აკადემიური წერა (4 ECTS)

#	**Modules & Sub-Modules/Subjects**	**ECTS**
1	აკადემიური წერა	4

15. Module - Master Thesis (22 ECTS)

#	**Modules & Sub-Modules/Subjects**	**ECTS**
1	სამაგისტრო ნაშრომი	22

§ 8. სასწავლო პრაქტიკა

სასწავლო კურსის ძირითადი მიზანია მაგისტრანტს გამოუმუშავდეს მაგისტრატურაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. პრაქტიკული კურსის სრული მოცულობა არის 16 კალენდარული კვირა – 8 კვირა საქართველოში და 8 კვირა საზღვარგარეთ.
სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები ნაწილდებიან სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში (მაგ.: სამინისტროები, პარლამენტი, მერია და ა.შ), ისევე როგორც კერძო, საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, თუ ამ უკანასკნელთა საქმიანობა დაკავშრებულია საჯარო მმართველობის საკითხებთან.

§ 9. საზაფხულო სკოლა

საზაფხულო სკოლა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან და მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემას საჯარო მმართველობის უფლებამოსილებების შესახებ სხვადასხვა დონეზე (მუნიციპალურ, რეგიონალურ, ფედერალურ და ევროკავშირის დონეზე). აქცენტები გაკეთებული იქნება გერმანიის ფედერაციულ სახელმწიფოზე, როგორც პრაქტიკულ მაგალითზე. საზაფხულო სკოლა მიმდინარეობს გერმანიაში, ძირითადად, ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში. საჭიროების შემთხვევაში, მომავალში, შესაძლებელია, საზაფხულო სკოლის ადგილმდებარეობა შეიცვალოს.

საზაფხულო სკოლის ხანგრძლივობა არის 10 სამუშაო დღე. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მოინახულონ და გაეცნონ გერმანული/ევროპული ინსტიტუციების, პარლამენტების და სასამართლოების მუშაობის სპეციფიკას. ამასთანავე, მონაწილეობა მიიღონ დარგობრივ ლექციებსა და პრაქტიკულ თუ სამეცნიერო დისკუსიებში.

§ 10. სასწავლო პროცესი და გამოცდები

სასწავლო პროცესთან და გამოცდებთან დაკავშირებით გამოიყენება თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკად. საბჭოს დადგენილება N77/2011).

სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობის“ სასწავლო პროცესი გამოირჩევა იმით, რომ პროგრამის ძირითადი ნაწილი მიმდინარეს ინგლისურ ენაზე და აკადემიური პერსონალის დიდ ნაწილს უცხოელი ლექტორები წარმოადგენენ. ასევე, გამოცდები ძირითადად წერილობითი ფორმისაა, თუმცა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება გამოცდების მთელი სპექტრი: ზეპირი გამოცდა, ღია გამოცდა, პრეზენტაცია, ტესტი, ესე და ა.შ.

ლექციებზე დასწრება სავალდებულოა, ამასთან დაკავშირებით სტუდენტები ხელს აწერენ დოკუმენტს, რითიც ადასტურებენ ინფორმირებულობას დასწრების სავალდებულობასთან დაკავშირებით და ინფორმირებულობას ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი წესების შესახებ.

§ 11. სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომის წერისათვის სტუდენტებს ეძლევათ ბოლო, მეხუთე სემესტრი. თემის სფეროს და მიმართულებას არჩევენ თავად სტუდენტები, ხოლო კონკრეტული თემები გაიცემა სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ. სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და მას ამოწმებს ორი კორექტორი, როგორც გერმანული ასევე ქართული მხრიდან.
საზაფხულო სკოლის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებათ სემინარი/პრეზენტაცია, სადაც ისინი გაეცნობიან სამაგისტრო ნაშრომე მუშაობის წესებს. ზოგადი წესები მოცემულია „საგამოცდო თემისადმი მოქმედი წესების შესახებ“ დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

§ 12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები

თსუ-ს წესდების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის და 37 მუხლის მე-4 აბზაცის გათვალისწინებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტიბისთვის პროგრამის ადმინისტრაცია ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შესაძლებლობების ფარგლებში და ხელს უწყობს მათ ყველა არსებული საშუალებით, რათა მათ წარმატებით დაასრულონ სამაგისტრო პროგრამა. ეს შეეხება ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური საცხოვრებელი გარემო.

§ 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება მაქსუმუმ 100 ქულიანი სისტემით, ხოლო კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს – 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C

61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

საბოლოო შეფასების მიღებიდან ორი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს აპელაცია და მისი ფინალურის შეფასების გადახედვა. მოთხოვნა აპელაციაზე ეგზავნება საგნის ხელმძღვანელს. გადაწყვეტილების შესახებ სტუდენტს ეცნობება წერილობით.

§ 14. სწავლის შედეგები:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) იცნობს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საჯარო მმართველობის (სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, მენეჯმენტი) სფეროში განვითარების ტენდენციებს, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს, ევროკავშირის გავლენას ქართულ პრაქტიკაზე, საჯარო მმართველობის თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებს, კვლევის მეთოდებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს.

(B) იცნობს საჯარო მმართველობის თანამედროვე მიმართულებების ძირეულ ასპექტებს, როგორც ნაციოლნალურ ისე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი, სტრატეგიული მართვის მენეჯმენტი, მოლაპარაკების ტექნიკა, ცვლილებების მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა და ელექტრონული მმარველობა.

(C) აანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას, ეკონომიკას, სოციალურ-პოლიტიკურ სპექტრს და მათ თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას, ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და ეროვნული პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ დასკვნებს;

(D) განმარტავს საჯარო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებულ სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ასევე ახდენს კვლევას აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ.

(E) ამოიცნობს სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკურ სფეროში აქტუალურ პრობლემებს, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო თუ პრაქტიკულ გზებს, გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს შედარებით კვლევის მეთოდზე დაფუძნებულ სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს.

(F) მსჯელობს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის

შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით;

(G) ავლენს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

(H) იცავს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები	**პროგრამის შედეგები**
პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საჯარო მმართველობის სფეროში განვითარების ტენდენციებზე, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებზე, ევროკავშირის გავლენაზე ქართულ პრაქტიკაზე, საჯარო მმართველობის მიმართულებით თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებზე, კვლევის მეთოდებზე, დარგობრივი სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებზე.	იცნობს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საჯარო მმართველობის (სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, მენეჯმენტი) სფეროში განვითარების ტენდენციებს, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს, ევროკავშირის გავლენას ქართულ პრაქტიკაზე, საჯარო მმართველობის თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებს, კვლევის მეთოდებს, დარგობრივი სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გააცნოს საჯარო მმართველობის თანამედროვე მიმართულებების ძირეული ასპექტები, როგორც ნაციონლნალურ ისე საერთაშორისო დონეზე.	იცნობს თანამედროვე მიმართულებების ძირეულ ასპექტებს, როგორც ნაციონლნალურ ისე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი, სტრატეგიული მართვის მენეჯმენტი, მოლაპარაკების ტექნიკა, ცვლილებების მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა და ელექტრონული მმარველობა.

პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს კანონმდებლობის, ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკურ სპექტრის და მათი თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის, ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის და ეროვნული პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური დასკვნის შემუშავების უნარი;	აანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას, ეკონომიკას, სოციალურ-პოლიტიკურ სპექტრს და მათ თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას, ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და ეროვნული პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ დასკვნებს;
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისა და გამოყენების, ასევე, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ კვლევის განხორციელების უნარი.	განმარტავს საჯარო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებულ სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ასევე ახდენს კვლევას აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკურ სფეროში აქტუალურ პრობლემების ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამისი გზის შემუშავების უნარი.	ამოიცნობს სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკურ სფეროში აქტუალურ პრობლემებს, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზებს, გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს შედარებით კვლევის მეთოდზე დაფუძნებულ სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს.

პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების გადმოცემის უნარი.	მსჯელობს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით;
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროდან, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.	ავლენს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნებისა და წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პატივისცემის უნარი.	იცავს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს; მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, პრაქტიკისა და ღირებულებების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები								
	A	B	C	D	E	F	G	H

პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საჯარო მმართველობის ტენდენციებზე, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებზე, ევროკავშირის გავლენაზე ქართულ პრაქტიკაზე, საჯარო მმართველობის მიმართულებით თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებზე, კვლევის მეთოდებზე, აკადემიური პატიოსნების წესებსა და პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებზე.	√							
პროგრამის მიზანია სტუდენტს გააცნოს საჯარო მმართველობის თანამედროვე მიმართულებების ძირეული ასპექტები, როგორც ნაციონალურ ისე საერთაშორისო დონეზე.		√						

პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს კანონმდებლობის, ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკურ სპექტრის და მათი თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის, ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის და ეროვნული პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური დასკვნის შემუშავების უნარი;			√					
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისა და გამოყენების, ასევე, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ კვლევის განხორციელების უნარი.				√				
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკურ სფეროში აქტუალურ პრობლემების ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამისი გზის შემუშავების უნარი.					√			

პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების გადმოცემის უნარი						√		
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.							√	
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნებისა და წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების აღიარებისა და პატივისცემის უნარი.								√

§ 15. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. **ვერბალური**, ანუ **ზეპირსიტყვიერი** მეთოდი.

2. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის

დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **წიგნზე მუშაობისმეთოდი.**

5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზითხორციელდება.

7. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

8. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

· პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;

· დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);

· გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას
ავლენს დასმულ საკითხთან;

· კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;

· შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;

· უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

9. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

10. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური,

დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

11. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

· სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

· სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

· სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

· **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

12. **ახსნა–განმარტებითიმეთოდი**–ეფუძნებამსჯელობასმოცემულისაკითხისირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

13. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

14. **წერითიმუშაობისმეთოდი** –გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროფესორი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

§ 16. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამა ხორციელდება თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე -

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან

არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 21.600-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);

- 134 კომპიუტერი, ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

§ 17. პროგრამის აკადემიური პერსონალი

➢ *თსუ-ს მხრიდან:*

- სრული პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი- 9
- მოწვეული ლექტორი - 12

➢ *შპაიერის უნივერსიტეტის მხრიდან:*

- სრული პროფესორი- 6
- მეცნიერ-თანამშრომელი- 3
- მოწვეული ლექტორი - 7

პროფესორების ჩართულობა საგნების მიხედვით იხილეთ შემდეგ ჩამონათვალში[1]:

სახელი, გვარი	დოქტორი	პროფესორი	საგანი	სიახლე[2]
1. ბასილაია ეკატერინე			კომუნიკაცია	
2. ბესელია გვანცა			კულტურა და ეთიკა საჯარო მმართველობაში	√
3. ბრეკაშვილი პაატა	√	√	1. მოლაპარაკების ტექნიკა	√

[1] საჭიროებისას შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება

[2] პროგრამაში დამატებული ახალი ლექტორი/ საგანი- 2015-2020 წწ.

			2. ორგანიზაციული ხელმძღვანელობა	
4. გვარამაძე თამარ	√	√	ადმინისტრაციული სამართალი	
5. დავითაშვილი მარიამ	√		მუნიციპალური სამართალი	√
6. ვაიზერ კრისტიან	√		ტერიტორიული მოწყობა და დეცენტრალიზაცია	√
7. ზომერმანი კარლ-პეტერ	√	√	1. საკონსტიტუციო სამართალი შედარებით პერსპექტივაში 2. საჯარო მმართველობის სასამართლო კონტროლი	
8. თესელი ფრიედერიკე			პროცესის მენეჯმენტი და ელ-მმართველობა	
9. თოლორდავა ზურაბ			ბუღალტერია საჯარო სექტორში	
10. კასრაძე თეა	√	√	ბიუჯეტის დაგეგმვა და მენეჯმენტი	
11. კახიძე ირაკლი	√	√	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	√
12. კნორი ანდრეას	√	√	1.კონკურენციის პოლიტიკა და რეგულაცია 2. ეკონომიკური კორნტროლი და ანალიზი	

13. კოპალეიშვილი მაია	√	√	საჯარო მმართვლობის სასამართლო კონტროლი	
14. კორკელია კონსტანტინე	√	√	ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი	
15. ლაბაძე მერაბ			პროცესის მენეჯმენტი და ელ-მმართველობა	
16. ლავრელაშვილი თეონა			ევროკავშირი და მისი საჯარო მმართველობა	√
17. ლეჟავა ნინო			ნაციონალური თავდაცვა და უსაფრთხოება	√
18. მაგიერა ზიგფრიედ	√	√	ევროინტეგრაცია და თანამშრომლობა	
19. მასერი კაი	√		1. აზროვნების დიზაინი 2. გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკასა და მმართველობაში	√
20. მაჭარაშვილი ნანა	√	√	მმართველობა ევროპის მრავალდონიან სისტემაში	
21. მიშაკი რიხარდი	√		სტრატეგიული და ხარისხის მენეჯმენტი	√
22. მორი ლინდა	√		1. აზროვნების დიზაინი 2. გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკასა და მმართველობაში	√
23. ოკრუხი შტეფანი	√	√	შესავალი ეკონომიკასა და საჯარო ფინანსებში	√

24. პატარაია ლარისა			სტრატეგიული და ხარისხის მენეჯმენტი	
25. პიაცენა მარტინ	√		ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპები	√
26. სენი იორგ			ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი	
27. ტურავა პაატა	√	√	1. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი 2. სამოხელეო სამართალი 3. სამართლებრივი აქტების შედგენის ტექნიკა	
28. ფუკნერ გერჰარდ	√		1. კომუნიკაცია 2. ცვლილებები მენეჯმენტი	
29. შმუკი ოტტო	√		მმართველობა ევროპის მრავალდონიან სისტემაში	√
30. შომაკერი რაჰელ	√	√	კერძო-საჯარო თანამშრომლობა	√
31. შტელკენსი ულრიხ	√	√	ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპები	
32. ჩხარტიშვილი მზია			გერმანული	
33. ცუხიშვილი ნინო			სამოხელეო სამართალი	√

34. ხატიაშვილი ლიკა			აკადემიური წერა	√
35. ხომერიკი თეიმურაზი			კერძო-საჯარო თანამშრომლობა	√
36. ხუბუა გიორგი	√	√	ტერიტორიული მოწყობა და დეცენტრალიზაცია	
37. ჰიპი კლაუდია			აკადემიური წერა	